

# ქალაქ თბილისის მთავრობის

დადგენილება №03.30.99

2011 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

## ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და 19<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო).

2. სააგენტო ქონებას განკარგავს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ წარმომადგენლისთვის განსაზღვრული სამოქმედო ინსტრუქციების შესაბამისად.

3. სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, ქალაქგეგმარებითი პირობების გათვალისწინებით, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გასცემს 30 კვმ.-მდე ფართობის მიწის ნაკვეთს, 20 წლამდე ვადით. სხვა სახით ქონების განკარგვას სააგენტო ახორციელებს ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. სააგენტო უფლებამოსლია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გამოსცეს აქტი, რომელიც დაინტერესებული პირის განცხადებასთან ერთად, უთანაბრდება ხელშეკრულებას.

5. დადგენილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საიჯარო ურთიერთობისას, ყოველწლიური საიჯარო ქირა (იჯარის ღირებულება) 1 კვმ.-ზე განისაზღვროს „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1-5 გადაწყვეტილებით შესაბამისი ზონისთვის დადგენილი სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობით, ხოლო საიჯარო ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვროს ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მოიჯარე უფლებამოსილია იჯარით მიღებულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით ან/და სხვა ფორმის თანხმობით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი.

6<sup>1</sup>. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 30 კვმ.-მდე მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოშლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.*

62. სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, წყვეტს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ქონების მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით (იჯარის, ქვეიჯარის, ქირავნობის, ქვექირავნობის, თხოვნების ფორმით) გადაცემასთან, ასევე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, თანხმობის გაცემასთან „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან/და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.*

63. სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, წყვეტს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე ისეთი სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის საკითხს, რომლითაც არ მცირდება გადაცემული ქონების ღირებულება. იმ სამუშაოთა წარმოების თაობაზე თანხმობის საკითხზე, რომლითაც მცირდება გადაცემული ქონების ღირებულება, აქტს გამოსცემს სააგენტო ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.*

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.41.324 - ვებგვერდი, 29.04.2011 წ.*

64. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, საკუთრების ან სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მესამე პირზე გასხვისების, იპოთეკით, გირავნობით ან სერვიტუტით დატვირთვის, უზუფრუქტით ან აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის შესახებ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საკითხზე, თუკი აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საჭიროებს მესაკუთრის თანხმობას, აქტს გამოსცემს სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.*

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.41.324 - ვებგვერდი, 29.04.2011 წ.*

65. წინამდებარე დადგენილების 6<sup>2</sup>-6<sup>4</sup> პუნქტებით გათვალისწინებულ აქტს სააგენტო გასცემს „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 11 ივნისის №17.19.830 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.41.324 - ვებგვერდი, 29.04.2011 წ.*

7. სააგენტოს მიენიჭოს უფლებამოსილება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შემოსული თანხები (ქირა, პრივატიზების საფასური, ბე/საბანკო გარანტია, პირგასამტეხლო, საურავი და ა.შ.) მიიღოს საკუთარ ტრანზიტულ ანგარიშებზე და უზრუნველყოს შესაბამისი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვა. ამასთან, აღნიშნული თანხების სააგენტოს ანგარიშებზე განთავსების მიზანს არ წარმოადგენს რაიმე სარგებლის მიღება.

71. სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, გამოსცემს აქტს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების, ფართობის ცვლილების (შემცირების) ან ფართობის უცვლელად საზღვრების შეცვლის შესახებ, თუ დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების შესახებ წარმოდგენილი იქნება:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობის მონაცემებით;

ბ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობის მონაცემებით;

გ) საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.*

7<sup>2</sup>. წინამდებარე დადგენილების 7<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, გამოცემული აქტის საფუძველზე, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება, ფართობის ცვლილება ან საზღვრების შეცვლა შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს 1500 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე და თუ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შესაბამისი აქტის გამოცემის დროისთვის, არ არის განკარგული.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.*

7<sup>3</sup>. სააგენტო, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ, ქალაქგეგმარებითი პირობების გათვალისწინებით და ქ. თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი ფორმულით მიღებული საწყისი ფასით, ექვსთვიანი განვადების ვადით, ან/და ამავე ფასითა და პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის გზით პრივატიზების შესახებ. სხვა ფასითა და პირობებით, მათ შორის ინვესტიციის განხორციელების პირობით, აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მთავრობა.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.*

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის დადგენილება №13.15.514 - ვებგვერდი, 06.06.2011 წ.*

8. სააგენტოს მიერ უძრავი ქონების გასხვისების აუქციონში გამარჯვებულ პირზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია უზრუნველყოფს სააგენტომ.

9. დამტკიცდეს დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით გაცემის შესახებ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული აქტის თანდართული ფორმა.

10. ძალადაკრგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 7 სექტემბრის №23.01.1087 დადგენილება.

11. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

## **ქ. თბილისის მერი გ. უგულავა**

### **შეტანილი ცვლილებები:**

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.
2. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.41.324 - ვებგვერდი, 29.04.2011 წ.
3. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.
4. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის დადგენილება №13.15.514 - ვებგვერდი, 06.06.2011 წ.

**დანართი**

## **ბრძანება**

----- (ფიზიკური პირის სახელი გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისმართი, პირადი/საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი)

პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ

ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა (საიდენტიფიკაციო ნომერი) განცხადებით (რეგისტრ. №) მომართა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ----- (ქონების მისამართი) იჯარით გადაცემა, \_\_\_\_\_ მიზნით.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონის 19<sup>ე</sup> მუხლის მე-5 პუნქტის და ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის ---- ---- N დადგენილების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს ----- (ფიზიკური/იურიდიული პირის) (პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: -----) განცხადება (რეგისტრ. №) და პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, --- - წლის ვადით გადაეცეს ქ. თბილისში, (უძრავი ქონების მისამართი, ფართი და მიწის საკადასტრო კოდი: №-----) ----- მიზნით.

2. ბრძანების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ქონების საიჯარო პირობები განისაზღვრება ბრძანების დანართით.

3. წინამდებარე ბრძანება ----- -ის განცხადებასთან ერთად გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები.

4. საიჯარო ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მერია (თბილისის თვითმმართველი ერთეული) – წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს (მეიჯარე) სახით და ----- (მოიჯარე).

5. წინამდებარე ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააგენტოს უფლებამოსილი პირი

-----

*დანართი*

### საიჯარო პირობები

1. ბრძანების შესაბამისად გადაცემულ ქონებაზე იჯარის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. მოიჯარე უფლებამოსილია იჯარით მიღებულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით ან/და სხვა ფორმის თანხმობით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი.

3.1. ყოველწლიური იჯარის ღირებულება შეადგენს 1 კვმ-ზე -- (--) ლარს (შემდგომში “საიჯარო ქირა”).

3.2. საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად ყოველ 6 თვეში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა. გადახდის ვადა აითვლება ბრძანების გაცნობის მომენტიდან.

3.3. საიჯარო ქირა გადაირიცხება შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_;

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;

ანგარიში: \_\_\_\_\_;

ბანკის კოდი: \_\_\_\_\_;

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: \_\_\_\_\_;

(ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი).

3.4. საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით. ასევე ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიწის ნორმატიული ფასის ცვლილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის გადახედვა ურთიერთობის მონაწილეების მიერ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე, ან მეიჯარე ამ პირობებით განსაზღვრული წესით ატყობინებს ქონების მიმღებს ახალ საიჯარო ქირის ოდენობას. წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის და საიჯარო პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შეთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა.

4. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლოს იჯარით გადაცემული ქონება 1 თვის ვადაში.

5. იჯარით გადაცემულ ქონებაზე გამარჯვებულ სარეკლამო კომპანიასთან შეთანხმების გარეშე, მოიჯარემ არ უნდა განათავსოს რეკლამა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკლამის გარდა.

6. საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.

7. მეიჯარე ადასტურებს, რომ თანახმაა მოიჯარემ გამოიყენოს იჯარის საგანი ბრძანებით გათვალისწინებული მიზნით. გაუთვალისწინებელი მიზნით ქონების გამოყენებისას მოიჯარე ვალდებულია მიიღოს მეიჯარის წინასწარი თანხმობა.

8. იჯარის ვადის გასვლის შემდგომ მოიჯარე ვალდებულია ქონება დააბრუნოს და, მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილება №07.23.250 - ვებგვერდი, 01.04.2011 წ.*

9.1. მოიჯარე ვალდებულია, ბრძანების გაცნობიდან 20 კალენდარული დღის ვადაში იჯარის უფლება დაარეგისტრიროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

9.2. იჯარის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მოიჯარე.

9.3. მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარის ხარჯით თავად განახორციელოს იჯარის უფლების რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები.

10.1. მეიჯარე თანახმაა, მოიჯარემ იჯარით გადაცემული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის: გააქირაოს, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) მესამე პირს მეიჯარესთან შემდგომი შეთანხმების გარეშე. ამასთან, მოიჯარე პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.*

10.2. ქონების მიმღები ვალდებულია მისთვის გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, საიჯარო პირობები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მოთხოვნისთანავე, მეიჯარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია მეიჯარეს.

10.3. ამ პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღებ პირს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. პირგასამტეხლო განსაზღვრულია დანართით საიჯარო პირობებიდან გამომდინარე.

10.4. საიჯარო პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მეიჯარის მიერ მიიჩნევა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველად. ქონების მიმღებ პირს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯი. მეიჯარე უფლებამოსილია, ასევე, მოითხოვოს ქონებისთვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის და/ან ზარალის ანაზღაურება.

10.5. საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღებ პირს არ უბრუნდება შემოტანილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ხარჯები.

11. მოიჯარე ვალდებულია:

11.1. აცნობოს დაუყოვნებლივ მეიჯარეს, თუ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი;

11.2. მოთხოვნისთანავე მეიჯარეს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია საიჯარო პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;

11.3. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის განხორციელებაში;

11.4. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, კანონმდებლობით და საიჯარო პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

11.5. საიჯარო პირობების დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრება 12.1-12.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

*ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.25.445 - ვებგვერდი, 19.05.2011 წ.*

12.1. საიჯარო ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_ მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის ნომერი: \_\_\_\_\_; ბანკის კოდი: \_\_\_\_\_; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: \_\_\_\_\_.

12.3. საიჯარო პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (გარდა საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.

13.1. საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:

13.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

13.1.2.. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად: საიჯარო პირობების 3.4, მე-4, ასევე 10.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში;

13.1.3. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად, წინამდებარე დანართის 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

13.1.4. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

13.2. საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება იჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;

13.3. საიჯარო ურთიერთობა წყდება მოიჯარის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, გარდა მეიჯარის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული ბრძანება.

14.1. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება საიჯარო პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით – მოიჯარის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე;

14.2. სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ საიჯარო პირობებში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში მოიჯარის თანხმობა გამოიხატება აქტზე ხელმოწერით;

14.3. საიჯარო პირობებში ცვლილებები და დამატებები საიჯარო რეესტრში რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

15. დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

16.1. ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა სახის კორესპონდენცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, უნდა გაიგზავნოს პერსონალური გადაცემის გზით, წინასწარ გადახდილი დაზღვეული ფოსტით, საკურიერო სამსახურით ან ფაქსით, ასევე მეიჯარის მიერ 16.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შესაბამის მხარესთან შემდეგ მისამართზე:

მოიჯარე

მისამართი:

ტელეფონი:

მობილური ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

მეიჯარე:

სსიპ – ქონების მართვის სააგენტო

მისამართი: ჟ. შარტავას №7, ქ. თბილისი, საქართველო

სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

16.2. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიმღები მხარის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გამგზავნი მხარის მიერ გაგზავნის შემთხვევაში.

16.3. მეიჯარის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) მოიჯარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ძალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

გავეცანი ბრძანებას თანდართული პირობებით და ვეთანხმები.

ჩავიბარე: \_\_\_\_\_  
*სახელი, გვარი* *ხელმოწერა*

თარიღი: